№1060 2015 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

**კაპიტალური პროექტებისათვის დაგეგმილი გადასახდელების მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანის თაობაზე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულების მე-6 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მიეცეს თანხმობა, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დამტკიცებული, 27 02 01 02 პროგრამული კოდით (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა) გათვალისწინებული, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან 3 000 000 (სამი მილიონი)

ლარი გადაიტანოს 27 02 01 01 - პროგრამული კოდით (ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება) გათვალისწინებულ „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**